ანგარიში საკრებულოს წევრის,მაია სიმონიძის

გაწეული საქმიანობის შესახებ

ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ნაწილია საკრებულოს „საფინანსო საბიუჯეტო“ დ
„ეკონომიკის,ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის“ კომისიის წევრობა,მის საქმიანობაშ
მონაწილეობის მიღება, კომისიაზე განსახილველი საკითხების შესწავლა და განხილვაში მონაწილეობის
მიღება. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ სამუშაო პერიოდში განხილულია 34 საკითხი, რომელიც
გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე. სულ ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის
კომისიის მიერ განხილულია 108 საკითხი და ჩატარებულია 20 სხდომა. საკითხების შესწავლის შემდეგ
მოხდა მათი საკრებულოს სხდომაზე განხილვა, სულ ვმონაწილეობდი საკრებულოს 12 და 5 რიგგარეშ
სხდომაზე.

აქტიურად ვარ ჩართული ბიუჯეტის ფორმირებისა და განხილვის საკითხში.

გასულ საანგარიშო პერიოდში აქტიური იყო როგორც საკრებულოს წევრის შეხვედრები
გუმათჰესის,ჭომის,გორასა და უქიმერიონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან. საჯარო შეხვედრებში
ხდებოდა მათ მიერ დასმული შეკითხვების ჩანიშვნა, განხილვა და შესაძლებლობის მიხედვით მოგვარება
ან მომდევნო პერიოდისთვის გათვალისწინება.

საანგარიშო პერიოდში გაზაფხულზე და შემოდგომაზე მოხდა მსგავსი შეხვედრების დაგეგმვა
და შესრულება. ვფიქრობ მსგავსი შეხვრდრები ყველაზე მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრის
საქმიანობაში.

კვლავ გამოწვევად რჩება საქალაქო ტრანსპორტის საკითხი,დღემდე არ არის საკმარისი
სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც სრულად გადაწყვეტს მოსახლეობის პრობლემებს ამ
მიმართულებით. გამომდინარე აქედან მიწევს მოქალაქეებთან კომუნიკაცია, ჩართული ვარ ამ
პრობლემების მოგვარებაში. სისტემატურად ვხვდები სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელებს
გარკვეული საკითხების მოგვარებაში.

წელს შევძელი კვლავ გამეგრძელებინა სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, როგორც
მერიის დახმარების, ასევე პირადად მათი პრობლემების მოგვარება.

ვარ ქალაქის გენდერული საბჭოს წევრი, ვღებულობ მონაწილეობას საკრებულოს სხვადასხვა
აქტივობებში.

ვარ ქალთა რაგბის კლუბ „აიას“ პრეზიდენტი და მერიასთან თანამშრომლობით შევძელით
კლუბის აღჭურვა საჭირო ინვენტარით, ასევე მათი მონაწილეობის მიღება საქართველოში გამართულ
სხვადასხვა შეჯიბრებებზე.

კვლავ ვაგრძელებ მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის საკითხს,რომელიც კვლავ
გრძელდება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
მაია სიმონიძე